შრომის ანაზღაურების გაუმჭვირვალობა იუსტიციის უმაღლეს საგჭოში

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

შრომის ანაზღაურების გაუმჭვირვალობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
თბილისი, 2023

Kingdom of the Netherlands

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია პროექტის, „დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო სისტემის მხარდაჭერა“, ფარგლებში, რომელსაც სოციალური სამართლიანობის ცენტრი საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია და შეფასებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს პოზიციას.

დოკუმენტზე პასუხისმგებელი პირები: გურამ იმნაძე, ანა პაპუაშვილი
მკვლევარი: თამარ ფაჩულია
რედაქტორი: ნინო ბექიშვილი
ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თამარ ფაჩულია, „შრომის ანაზღაურების გაუმჭვირვალობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში“, 2023*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge
info@socialjustice.org.ge
https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

1. შესავალი 6

2. საერთო სასამართლოებში შრომის ანაზღაურების
მომწესრიგებელი კანონმდებლობის ანალიზი 8

3. დანამატის განსაზღვრის პრობლემურობა 11

4. შრომის ანაზღაურების განსაზღვრის პრაქტიკა 14
4.1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე
წევრების შრომის ანაზღაურება 14
4.1.1. საბჭოს მოსამართლე წევრების შრომის ანაზღაურების
ოდენობა 2021-2022 წლებში 20
4.2. არამოსამართლე წევრების შრომის ანაზღაურება 25
4.3. დამოუკიდებელი ინსპექტორის შრომის ანაზღაურება 27

5. რეკომენდაციები 29

1. შესავალი

მართლმსაჯულების სისტემის მიმართ დაბალი საზოგადოებრივი ნდობისა[1] და სისტემაში არსებული კორპორატივიზმის ფონზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოში საბიუჯეტო რესურსების გამჭვირვალედ განკარგვას. სასამართლოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ კომპონენტს შრომის ანაზღაურება და მისი იმგვარად მოწესრიგება წარმოადგენს, რომ განეიტრალებული იყოს მოსამართლეებზე თუ სასამართლო სისტემის ადმინისტრირებაში ჩართულ სხვა სუბიექტებზე არაფორმალური გავლენის მოხდენისა და შრომის ანაზღაურების კორპორატიული ინტერესებით გაცემის რისკები.

ქართული კანონმდებლობა სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის შრომის ანაზღაურების განსაზღვრის პროცესში მნიშვნელოვან უფლებამოსილებებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ანიჭებს. საბჭოში კონცენტრირებული ისედაც ჭარბი ძალაუფლების ფონზე, შრომის ანაზღაურების მოწესრიგებისა და გაცემის ფართო დისკრეცია, რომელიც პრაქტიკაში ბუნდოვნად და გაუმჭვირვალედ გამოიყენება, პირდაპირ აძლიერებს სასამართლოში კლანურობისა და ინდივიდუალურ სუბიექტებზე არასათანადო გავლენების რისკებს.

წინამდებარე დოკუმენტში შესწავლილია 2021-2022 წლებში მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი რგოლის – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებზე, აგრეთვე დამოუკიდებელ ინსპექტორზე შრომის ანაზღაურებისა და დანამატების გაცების პრაქტიკა. დოკუმენტი ეყრდნობა რელევანტური კანონმდებლობისა და საჯარო უწყებებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზს.

აღსანიშნავია, რომ საკითხზე მუშაობისას სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა შესაბამისი მონაცემების ხელმისაწვდომობა, რადგან რელევანტური უწყებების მიერ შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია არასრულყოფილად, განზოგადებული ფორმითა და ხშირ შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი ვადის არსებითი დარღვევით გაიცემოდა.[2] ასეთი რეალობა კიდევ უფრო ართულებს სასამართლო სისტემაში გაცემული შრომის ანაზღაურების ოდენობის დადგენას, მათი მართლზომიერების/საფუძვლიანობის შეფასებას და საბოლოოდ, სისტემის გაუმჭვირვალობის კიდევ ერთ დამატებით მაგალითს ქმნის.

1 International Republican Institute (IRI) „Public Opinion Survey Residents of Georgia" (March 2022). p.36. (ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3YIeKFK, განახლებულია: 14.02.2023).

2 *სოციალური სამართლიანობის ცენტრი* ითხოვდა ინფორმაციას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრისა და დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის 2021-2022 წლებში (ჩაშლილად, თვეების მიხედვით) გაცემული შრომის ანაზღაურების ოდენობის შესახებ. საბჭომ საჯარო ინფორმაცია წლიური მონაცემების სახით, მოსამართლე წევრების შემთხვევაში კი – არასრულად (მხოლოდ დანამატის ოდენობა) და კანონმდებლობით დადგენილი ვადის არსებითი დარღვევით მოგვაწოდა. უზენაესმა სასამართლომ კი ფაქტობრივი მონაცემების ნაცვლად საკითხის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები მიგვითითა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური სამართლიანობის ცენტრი მიესალმება ღირსეული შრომითი პირობების შექმნას სასამართლოს სისტემაში დასაქმებული სუბიექტებისთვის. მეტიც, ორგანიზაცია უშვებს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით დღეს განსაზღვრული სახელფასო ოდენობები, შესაძლოა, არ ქმნიდეს მოსამართლის შრომის სამართლიანი ანაზღაურების წინაპირობას. შესაბამისად, დოკუმენტის მიზანი ანაზღაურების ოდენობის შემცირება კი არ არის, არამედ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობისა და სამართლიანი ანაზღაურების იმგვარად უზრუნველყოფა, რომ გამორიცხული იყოს ამ პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ თვითნებობა და ინტერესთა კონფლიქტები.

საკითხის შესწავლისას შემდეგი პრობლემური საკითხები გამოიკვეთა:

- კანონმდებლობა საბჭოს წევრებისა და დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის შრომის ანაზღაურების გაცემის საკითხს დეტალურად არ აწესრიგებს, რაც ზრდის გადაწყვეტილების მიღების პროცესში თვითნებობისა და ინტერესთა კონფლიქტის რისკებს;
- დანამატების დიდი ნაწილი არა დამსახურების მიხედვით, არამედ უსაფუძვლოდ და მექანიკურად, ყოველთვიურად გაიცემა საბჭოს ყველა წევრის მიმართ;
- დანამატების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებები, უმეტეს შემთხვევაში, დაუსაბუთებელი და შაბლონურია;
- საბჭო და უზენაესი სასამართლო დანამატებთან დაკავშირებულ საჯარო ინფორმაციას არასრულყოფილად გასცემენ, პრობლემურია აგრეთვე რელევანტური ნორმატიული აქტების პროაქტიულად გამოქვეყნების საკითხი;
- საბჭოს მოსამართლე წევრების უმრავლესობა ცალკეულ თვეებში თანამდებობრივ სარგოზე სამმაგ დანამატს იღებს;
- საბჭოს არამოსამართლე წევრები და დამოუკიდებელი ინსპექტორი შესაბამისი ნორმატიული საფუძვლის გარეშე იღებენ თანამდებობრივ სარგოზე დანამატს;
- საბჭოს არამოსამართლე წევრების ფაქტობრივი თანამდებობრივი სარგო კანონით გათვალისწინებულ ოდენობაზე მაღალია;
- საბჭო არღვევს არამოსამართლე წევრებისა და დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის დანამატის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნების კანონისმიერ ვალდებულებას;
- დამოუკიდებელ ინსპექტორს კანონმდებლობით არ აქვს ფინანსური მდგომარეობის შესახებ დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება.

2. საერთო სასამართლოებში შრომის ანაზღაურების მომწესრიგებელი კანონმდებლობის ანალიზი

საერთო სასამართლოების წარმომადგენლებისთვის სოციალური უსაფრთხოებისა და მატერიალური კეთილდღეობის გარანტიების არსებობა სასამართლოს დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი კომპონენტია.[3] სოციალური გარანტიები, ერთი მხრივ, სასამართლო სისტემას კორუფციული რისკებისგან იცავს, მეორე მხრივ კი, სისტემაში დასაქმებულებისთვის ღირსეულ შრომით პირობებს ქმნის.[4] ამასთან, სასამართლოს ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფისა და შიდა გავლენების რისკის განეიტრალებისთვის აუცილებელია, რომ სოციალური გარანტიებით სასამართლოს სუბიექტების უზრუნველყოფის სისტემა იყოს გამჭვირვალე და საზოგადოებისთვის გასაგები.

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სოციალური უსაფრთხოების გარანტიები და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა ანაზღაურება გაწერილი უნდა იყოს კანონმდებლობით და ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების დროს დისკრეციული ელემენტების არსებობა სასურველი არ არის.[5] წინასწარ განსაზღვრული, განჭვრეტადი კრიტერიუმების საფუძველზე მოსამართლეების სოციალურ-ეკონომიკური გარანტიებით აღჭურვა, საბოლოო ჯამში, სამართლიანი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების ინტერესებს ემსახურება და ქმნის როგორც შრომის სამართლიანი ანაზღაურების, ისე მოსამართლის დამოუკიდებლობის წინაპირობას.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო რეკომენდაციები მოსამართლის, როგორც ინდივიდუალური სუბიექტის, სოციალური უსაფრთხოების გარანტიებზე ამახვილებს ყურადღებას, არანაკლებ მნიშვნელოვანია სასამართლოს ადმინისტრირების ორგანოებისა და მათი წარმომადგენლების/წევრების შესაბამისი გარანტიებით უზრუნველყოფის საკითხიც. იუსტიციის უმაღლესი საბჭო (შემდგომში: საბჭო) და დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური სასამართლო სისტემის ადმინისტრირებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ: საბჭო სასამართლოს საქმიანობის ყველა ძირითად საკითხზე იღებს გადაწყვეტილებას, დამოუკიდებელი ინსპექტორი კი მოსამართლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების პროცესში

3 CCJE Opinion No. 24 (2021): Evolution of the Councils for the Judiciary and their role in independent and impartial judicial systems, Strasbourg, 5 November, 2021, p.4. (ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3IqFVQ1 , განახლებულია: 14.02.2023).

4 Venice Commission, Report on the Independence of the Judicial System Part 1: The Independence of Judges, CDL-AD (2010)004, Strasbourg, 16 March, 2020, გვ. 7, 52 (ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3YLChpH, განახლებულია: 14.02.2023).

5 იქვე, გვ. 10, 46.

მონაწილეობს. შესაბამისად, ამ უწყებებში სოციალური გარანტიების საკითხი ასევე კრიტიკული მნიშვნელობისაა მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისათვის.

სოციალური დაცვა ფართო შინაარსის ცნებაა და არაერთ უფლებრივ კომპონენტს მოიცავს, მათ შორისაა: შრომის ანაზღაურება, მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის/ საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ კომპენსაციის დანიშვნა, საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა, გარდაცვალების შემდეგ ოჯახის წევრებისთვის კომპენსაციის დანიშვნა და სხვ. დოკუმენტის ფარგლებში შეფასებულია მათგან განსაკუთრებით პრობლემური ელემენტი – შრომის ანაზღაურების საკითხი, რომლის მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობა, ხშირ შემთხვევაში, ბუნდოვანი, პრაქტიკა კი – არაერთგვაროვანია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში: „ორგანული კანონი“) თანახმად, მოსამართლის შრომის ანაზღაურება შედგება თანამდებობრივი სარგოსა და დანამატისგან.[6] საერთო სასამართლოების მოსამართლეების (მათ შორის: პალატების/კოლეგიებისა და სასამართლოს თავმჯდომარეების) თანამდებობრივი სარგოს ოდენობა პირდაპირ კანონით არის განსაზღვრული.[7] **დანამატის ოდენობის განსაზღვრის უფლებამოსილებას კი ორგანული კანონი მთლიანად იუსტიციის უმაღლეს საბჭოს**[8] (პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეებისთვის) **და უზენაესი სასამართლოს პლენუმს** (უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისთვის) **ანიჭებს.**[9]

რაც შეეხება საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურებას, კანონმდებლობა ერთმანეთისგან განასხვავებს საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრების ანაზღაურების საკითხებს. კერძოდ:

- საბჭოს მოსამართლე წევრები თანამდებობრივ სარგოს სასამართლოს ინსტანციის მიხედვით[10] განსაზღვრული ოდენობით იღებენ.[11] მათი, როგორც საბჭოს წევრების, დანამატების ოდენობის განსაზღვრის უფლებამოსილება მოსამართლეთა დანამატების მსგავსად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აქვს მინიჭებული;[12]

6 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 69-ე მუხლის პირველი პუნქტი.

7 იქვე, 69-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

8 იქვე, 69-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

9 იქვე, 69-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

10 იქვე, 69-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

11 თანამდებობრივი სარგო საბჭოს მოსამართლე წევრებს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისთვის ეძლევათ და არა საბჭოში საქმიანობისთვის.

12 იქვე, 47-ე მუხლის მე-14 პუნქტი.

- საბჭოს არამოსამართლე წევრს შრომის ანაზღაურება ეძლევა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.[13]

ამდენად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მინიჭებული აქვს როგორც საერთო სასამართლოების მოსამართლეებისთვის, ისე საბჭოს მოსამართლე წევრებისთვის დანამატების გაცემის უფლებამოსილება. არც ორგანულ კანონში და არც საბჭოს მიერ გამოცემულ აქტებში არ არსებობს მოსამართლე წევრების მიერ ერთდროულად საბჭოს წევრისა და საერთო სასამართლოების მოსამართლისთვის განსაზღვრული დანამატების მიღების ამკრძალავი ჩანაწერი.

განსხვავებულად რეგულირდება დანამატის გაცემის საკითხი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ წევრებისთვის, რომლებიც, იმავდროულად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები არიან. კერძოდ, ერთი მხრივ, ორგანული კანონი ადგენს, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის ოდენობას განსაზღვრავს უზენაესი სასამართლოს პლენუმი,[14] მეორე მხრივ, საბჭოს მოსამართლე წევრისთვის დანამატის გაცემის უფლებამოსილება საბჭოს აქვს მინიჭებული.[15] შესაბამისად, კანონმდებლობით არც ამ შემთხვევაში არსებობს მოსამართლე წევრების მიერ ორმაგი დანამატის მიღების გამომრიცხავი მექანიზმი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ, საბჭოს მოსამართლე წევრებისგან განსხვავებით, არამოსამართლე წევრებისთვის დანამატების გაცემის საკითხს ორგანული კანონი საერთოდ არ აწესრიგებს. იგივე მოცემულობაა დამოუკიდებელი ინსპექტორის შემთხვევაშიც: ორგანული კანონი ინსპექტორის მხოლოდ თანამდებობრივი სარგოს ოდენობას განსაზღვრავს და მას სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის შრომის ანაზღაურებას უთანაბრებს.[16]

დღეს არსებული კანონმდებლობა დაუბალანსებლად ფართო დისკრეციას ანიჭებს საბჭოს წევრებს. ისინი ფაქტობრივად საკუთარი თავისთვის ინიშნავენ დანამატებს – თავად განსაზღვრავენ საკუთარი დანამატების ოდენობასა და გაცემის პერიოდულობას, რაც უსაფუძვლო და თვითნებური გადაწყვეტილების მიღების რისკებს ზრდის.

13 იქვე, 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

14 იქვე, 69-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

15 იქვე, 47-ე მუხლის მე-14 პუნქტი.

16 სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის შრომის ანაზღაურების ოდენობა ოდენობა 7950 ლარს შეადგენს, საიდანაც 5000 ლარი თანამდებობრივი სარგოა, 2950 კი - დანამატი.

3. დანამატის განსაზღვრის პრობლემურობა

როგორც უკვე აღინიშნა, კანონმდებლობა დანამატების მიღების შესაძლებლობას ითვალისწინებს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებისთვის, თუმცა, **დანამატის ცნება, მისი ოდენობა, გაცემის პერიოდულობა და წინაპირობები ორგანული კანონით მოწესრიგებული არ არის.** ორგანული კანონი მხოლოდ ზოგადად ადგენს, რომ საბჭო მოსამართლე წევრებზე დანამატებს გასცემს მათ მიერ უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელების შემთხვევაში. მოსამართლე წევრების დანამატის ბუნების განსაზღვრისთვის ყურადღება უნდა გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე:

- ორგანული კანონით დანამატის განსაზღვრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არა ვალდებულების, არამედ უფლებამოსილების სახით არის ჩამოყალიბებული;
- დანამატის გაცემისთვის, მართალია ზოგადი შინაარსის, მაგრამ გარკვეული წინაპირობა – „უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელება“ არის გათვალისწინებული;
- დანამატის ყოველთვიურად გაცემის შესაძლებლობაზე ორგანული კანონი პირდაპირ საბჭოს მხოლოდ იმ წევრებთან მიმართებით მიუთითებს, რომლებიც იმავდროულად უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები არიან.[17]

განსხვავებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისგან, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეებისთვის დანამატის ყოველთვიურად გაცემაზე კანონმდებლობაში არანაირი ჩანაწერი არ არსებობს. პირდაპირი აკრძალვის არარსებობის მიუხედავად, ნორმებს შორის ამგვარი დიფერენციაცია ქმნის უზენაესი და პირველი/მეორე ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეების მიმართ დანამატის გაცემის საკითხის განსხვავებულად მოწესრიგების ლოგიკურ საფუძველს. ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ ყოველთვიურ დანამატზე მითითება ვერც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებთან მიმართებით ჩაითვლება მისაღებად, ვინაიდან ეს რეგულირება დანამატს ფაქტობრივად მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს შემადგენელ ნაწილად აქცევს და, შესაბამისად, წინააღმდეგობაში მოდის დანამატის რეალურ – დამსახურებაზე დაფუძნებულ ბუნებასთან. ამასთან, ის ფაქტი, რომ კანონმდებლობა არ კრძალავს პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეების ან საბჭოს წევრების მიერ დანამატის ყოველთვიურად მიღების შესაძლებლობას, მაგრამ არც პირდაპირ აქცენტს აკეთებს ამაზე, უნდა გავიგოთ შემდეგნაირად: **შესაძლებელია დანამატი გაიცეს ყოველთვიურად, თუ ამას თითოეულ შემთხვევაში ექნება ობიექტური საფუძველი.**

17 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

ამდენად, ორგანული კანონის მიერ საკითხის სრულყოფილად მოუწესრიგებლობის პირობებშიც კი, გვერდს ვერ ავუვლით **დანამატის გაცემის ზოგად პრინციპს – ის უნდა გაიცემოდეს არა მექანიკურად, ყველა წევრის მიმართ და ყოველთვიურად, არამედ საბჭოს კონკრეტული წევრების მიმართ, დამსახურების მიხედვით და უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისთვის.**

დანამატის ოდენობა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, შესაბამისად, საკანონმდებლო აქტით დანამატების ოდენობის განსაზღვრა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, თუმცა მიზანშეწონილია კანონმდებლობა, როგორც მინიმუმ, დანამატების გაცემის საფუძვლებსა და ძირითად პრინციპებს მაინც განსაზღვრავდეს. მოქმედი კანონმდებლობით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო დაუბალანსებლად ფართო დისკრეციით სარგებლობს დანამატების ოდენობისა და მათი ადრესატების განსაზღვრისას. შესაბამისად, მას უფლებამოსილების კეთილსინდისიერად განხორციელების განსაკუთრებული ვალდებულებაც ეკისრება.

ვინაიდან ორგანული კანონი დანამატების გაცემასთან დაკავშირებულ არაერთ საკითხს ბუნდოვნად ტოვებს, დანამატის ბუნების საილუსტრაციოდ მიზანშეწონილია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში დანამატის გაცემის მარეგულირებელ დანაწესსაც შევეხოთ. მართალია, ეს უკანასკნელი პირდაპირ არ ვრცელდება საერთო სასამართლოების სისტემაზე, თუმცა დანამატების სახეებისა და მათი მიღების საფუძვლების უფრო კონკრეტული რეგულირების გათვალისწინებით, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ამ ინსტიტუტის ანალიზისთვის. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონისგან განსხვავებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი, აგრეთვე სხვადასხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, გამოყოფს ორი სახის დანამატს: სახელფასოს და საკლასოს. განსხვავებით სახელფასო დანამატისგან, საკლასო დანამატი ყოველთვიურად გაიცემა. ვინაიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს შორის არ არსებობს თანამდებობრივ-კლასობრივი დიფერენციაცია, საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ დანამატებს ვერ მივიჩნევთ საკლასო დანამატის იდენტურ ან თუნდაც, არსებითად მსგავს მექანიზმად. ის თავისი ბუნებით უფრო მეტად ემსგავსება საჯარო სამსახურში არსებულ სახელფასო დანამატს, რომელიც მკაცრად განსაზღვრული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში ცალკეულ სუბიექტებზე გაიცემა. კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი მოხელის მიერ დანამატის მიღების ორ ალტერნატიულ წინაპირობას განსაზღვრავს: 1. ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება; 2. დამატებითი ფუნქციების დაკისრება, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობა.[18]

18 „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან მიღებული საჯარო ინფორმაციის თანახმად,[19] არამოსამართლე წევრებისა და დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის დანამატის გაცემის ნორმატიული საფუძველია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 26-ე მუხლები. აღნიშნული ნორმატიული საფუძვლით დანამატების გაცემა პრობლემურია რამდენიმე მიზეზით:

- „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი განსაზღვრავს კანონის მოქმედების სფეროს და ადგენს იმ სუბიექტთა წრეს, რომელზეც ის ვრცელდება. ჩამონათვალში ვერ ვხვდებით დამოუკიდებელ ინსპექტორს. შესაბამისად, ამ კანონის 23-ე და 26-ე მუხლები ვერ ჩაითვლება ინსპექტორისთვის დანამატის გაცემის სამართლებრივ საფუძვლად;
- „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონი დანამატის მიღების იგივე წინაპირობებს ადგენს,[20] რაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონითაა განსაზღვრული. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი კი შრომის ანაზღაურების მარეგულირებელი ნორმების ნაწილში არ ვრცელდება[21] მოსამართლეებსა და საბჭოს წევრებზე;
- მოწოდებული ინფორმაციით, დანამატი საბჭოს არამოსამართლე წევრებსა და დამოუკიდებელ ინსპექტორზე გაიცემა კანონის საფუძველზე, სასამართლო სისტემის საქმიანობას კი, ზოგადად, უფრო მაღალი იურიდიული ძალის მქონე აქტი – ორგანული კანონი აწესრიგებს. ამასთან, ორგანული კანონი არ მიუთითებს, რომ დანამატების გაცემასთან დაკავშირებული საკითხები, შესაძლოა, კანონით მოწესრიგდეს. მიზანშეწონილია, რომ დანამატების გაცემის საკითხის ზოგად მოწესრიგებას (დანამატის ცნება, მიღების წინაპირობები, მიზანი) სწორედ ორგანული კანონი შეიცავდეს.

შეჯამებისთვის, კანონმდებლობა საერთო სასამართლოების სისტემაში დანამატების გაცემის საკითხს არაერთგვაროვნად აწესრიგებს. სამართლებრივი ბუნდოვანების ფონზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო/პლენუმი დაუბალანსებელი დისკრეციული უფლებამოსილებით არის აღჭურვილი, რაც ქმნის მოსამართლეებსა და საბჭოს წევრებზე, აგრეთვე დამოუკიდებელ ინსპექტორზე არასათანადო გავლენების მოხდენის რისკებს. კიდევ უფრო პრობლემურია ის პრაქტიკა, რაც საერთო სასამართლოების სისტემაში არსებობს დანამატებთან დაკავშირებით და მომდევნო ნაწილში სწორედ ეს საკითხია გაანალიზებული.

19 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N990-3491-03-ო წერილი სოციალური სამართლიანობის ცენტრს (21.11.22).

20 „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო მოსამსახურეს ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის, შეიძლება მიეცეს სახელფასო დანამატი.

21 „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“, „ს“ ქვეპუნქტები.

4. შრომის ანაზღაურების განსაზღვრის პრაქტიკა

წინამდებარე თავში ცალ-ცალკეა შეფასებული დანამატების გაცემის პრაქტიკა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე, არამოსამართლე წევრებსა და დამოუკიდებელ ინსპექტორთან მიმართებით.

4.1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურების ადეკვატური ოდენობის განსაზღვრა და ამ პროცესში გამჭვირვალობის უზრუნველყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბჭოს მოსამართლე წევრებთან მიმართებით, ვინაიდან მათი დატვირთულობა საერთო სასამართლოების მოსამართლეების დატვირთულობის (საქმეთა განაწილების) სტანდარტულ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად ჩამორჩება.[22] კერძოდ, საბჭოს გადაწყვეტილების[23] თანახმად, **მოსამართლე წევრის დატვირთულობის პროცენტული მაჩვენებელი, როგორც წესი, მხოლოდ 20%-ს შეადგენს,[24] ხოლო იმ წევრებზე, რომელთაც იმავდროულად ცალკეული ადმინისტრაციული თანამდებობები უკავიათ, განაწილებული საქმეების პროცენტული მაჩვენებელი 5-10%-ს შორის მერყეობს.** [25]

როგორც აღინიშნა, უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისთვის საბჭოს წევრს უწესდება ყოველთვიური დანამატი 1 200 ლარის[26] ოდენობით (შემდგომში – „მოსამართლე წევრის დანამატი“).[27] საბჭოს განკარგულების აღნიშნული რეგულირება ორი ურთიერთწინააღმდეგობრივი დანაწესისგან შედგება:

- ორგანული კანონის მსგავსად, ეს განკარგულებაც დანამატის მიღების წინაპირობად უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებას მიუთითებს;
- განკარგულება პირდაპირ ადგენს, რომ დანამატი მოსამართლე წევრებზე ყოველთვიურად უნდა გაიცეს.

22 ვრცლად ამ საკითხზე იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა სასამართლოში (2020-2021 წლების შეფასების ანგარიში), 2022 (ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lBRhHV, განახლებულია: 14.02.2023).

23 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებით დამტკიცებული-„საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი“.

24 იქვე, მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

25 იქვე, მე-5 მუხლის მე-7 პუნქტი.

26 დოკუმენტში მითითებული თითოეული რიცხვითი მონაცემი წარმოდგენილია დარიცხული ანაზღაურების სახით.

27 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 იანვრის N1/6 განკარგულების მე-2 პუნქტი.

შედეგად ვიღებთ ვითარებას, რომ საბჭო ფაქტობრივად წინასწარ ადგენს ყველა მოსამართლე წევრის მიერ მომავალში თავისი უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელების ფაქტს და დანამატს არა ინდივიდუალური განკარგულებებით, არამედ ზოგადი წესით – ყოველთვიურად გასცემს.

დღეის მდგომარეობით, საბჭოს 9 მოსამართლე წევრიდან 3-3 მათგანი შესაბამისად წარმოადგენს თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებს და საქართველოს უზენაეს სასამართლოს. საბჭოსგან მიღებული საჯარო ინფორმაციის თანახმად,[28] 2021 წელს საბჭოს მოსამართლე წევრებზე დანამატის სახით ჯამურად გაცემულია 129 600 ლარი, რაც იმას ნიშნავს, რომ 1 200 ლარიანი დანამატი ყოველთვიურად გაიცა ყველა მოსამართლე წევრის მიმართ (მათ შორის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ). ამასთან, მოსამართლე წევრებზე დანამატების გაცემის შესახებ საბჭოს მიერ არ გამოქვეყნებულა ინდივიდუალური შინაარსის განკარგულებები, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ დანამატების გაცემა ხდება არა ინდივიდუალური გადაწყვეტილების, არამედ ერთი ზოგადი განკარგულების საფუძველზე.

ორგანული კანონი ადგენს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უნდა განთავსდეს საბჭოს ვებგვერდზე.[29] შესაბამისად, 1 200 ლარიანი დანამატის გაცემის ნაწილში საბჭო აშკარად არღვევს კანონმდებლობის მოთხოვნას. **ვებგვერდზე გამოქვეყნებულია მოსამართლე წევრების მიერ მიღებული დანამატების მხოლოდ ნაწილი, არამოსამართლე წევრებისა და დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის დანამატების გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები კი საერთოდ არ გამოქვეყნებულა.**

საბჭო საერთო სასამართლოების მოსამართლეებზე (გარდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა) ორი სახის[30] დანამატს გასცემს:

1. დანამატი, რომელიც საერთო სასამართლოების ყველა მოსამართლეზე გაიცემა ყოველთვიურად და აქვს წლის განმავლობაში ფიქსირებული ოდენობა – (შემდგომში: **„მოსამართლის ზოგადი დანამატი“**).

მოსამართლის ზოგადი დანამატის გაცემის ნორმატიულ საფუძველს წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის გადაწყვეტილება,[31] რომელიც მოსამა-

28 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N758/2892-03-ო წერილი სოციალური სამართლიანობის ცენტრს (19.10.2022)

29 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

30 დანამატებს სახელწოდებები შერჩეული აქვთ პირობითად, დანამატის სახეების უკეთ საილუსტრაციოდ და ამ ტერმინებს არ იყენებს კანონმდებლობა.

31 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის N1/89 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი.

რთლეების მიერ დანამატის მიღების არანაირ წინაპირობას არ ითვალისწინებს. ამასთან, არც ზოგადი დანამატის გაცემის შესახებ მიღებული ცალკეული გადაწყვეტილებები[32] შეიცავს რაიმე სახის, თუნდაც ფორმალურ, დასაბუთებას.

როგორც საბჭოს პრაქტიკა მოწმობს, წელიწადში ერთხელ (დეკემბერში ან იანვარში) საბჭოს გადაწყვეტილებით ხდება ზოგადი დანამატის ოდენობის განახლება. ბოლო წლების განმავლობაში ეს დანამატი ყველა სუბიექტისთვის მზარდია. მაგალითად: თუ 2021 წელს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ზოგადი დანამატის სახით ყოველთვიურად 1950 ლარს იღებდა, 2022 წელს დანამატის ოდენობამ 3 200 ლარი შეადგინა, 2023 წლიდან კი ყოველთვიურად 4 100 ლარს მიიღებს[33] (ამჟამად თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე მიხეილ ჩინჩალაძეა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე კი – ირაკლი ბონდარენკო).

ცხრილის სახით წარმოგიდგენთ საერთო სასამართლოების მოსამართლეების (მათ შორის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების) ზოგადი (ყოველთვიური) დანამატის ოდენობას 2020-2023 წლებში.

ზოგადი (ყოველთვიური) დანამატები	2020-2021	2022	2023
სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე	1 950	3 200	4 100
სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე	1 900	3 150	4 025
სააპელაციო სასამართლოს კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე	1 800	3 050	3 885
სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე	1 700	2 950	3 745
თბილისის/ბათუმის/ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე	2 250	3 500	4 310
თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის/ პალატის თავმჯდომარე	2 150	3 400	4 170
თბილისის/ბათუმის[34]/ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე	2 050	3 300	4 030
სხვა საქალაქო/რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე	1 550	2 800	3 540
სხვა საქალაქო/რაიონული სასამართლოს მოსამართლე[35]	1 350	2 600	3 260

32 მაგალითად: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება, 2020 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება, 2021 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება და სხვა.

33 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 16 იანვრის 1/3 განკარგულება.

34 იგივე დანამატს იღებს ბათუმის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების მაგისტრატი მოსამართლეც.

35 მათ შორის მაგისტრატი მოსამართლე.

2. დანამატი, რომელიც გაიცემა ერთჯერადად და მისი ოდენობა არ არის ფიქსირებული (შემდგომში: **მოსამართლის სპეციალური დანამატი**). თავის მხრივ, მოსამართლის სპეციალური დანამატიც შეგვიძლია 2 ნაწილად გავყოთ:

   2.1. სტანდარტული სპეციალური დანამატი – მისი გაცემის ნორმატიულ საფუძველს ვხვდებით საბჭოს 2018 წლის უკვე ნახსენები გადაწყვეტილების[36] მე-3 პუნქტში, რომელიც განსხვავებით ზოგადი დანამატისგან (მე-2 პუნქტი), ითვალისწინებს სტანდარტული სპეციალური დანამატის გაცემის 2 ალტერნატიულ საფუძველს:

- სასამართლოს (მოსამართლის) დატვირთულობა;
- იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა სტაჟირების კოორდინატორობა.

წინაპირობების განსაზღვრის მიუხედავად, სპეციალური დანამატის გაცემის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი არ შეიცავს დასაბუთებას, ან თუნდაც ბლანკეტურ მითითებას ზემოაღნიშნული ალტერნატიული წინაპირობებიდან რომელი გახდა კონკრეტულ შემთხვევაში დანამატის გაცემის საფუძველი.

   2.2. **ე.წ. „სადღესასწაულო“ დანამატი,** რომელიც პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების ყველა მოსამართლეზე გაიცემა. საბჭოს პრაქტიკა მოწმობს, რომ სპეციალური დანამატების გაცემა, როგორც წესი, ემთხვევა საერო/საეკლესიო დღესასწაულებს (აპრილი/მაისი, დეკემბერი). **2022 წელს პირველი და მეორე ინსტანციის ყველა მოსამართლეზე „ახალი წლისა“ და „აღდგომის“ დანამატებთან ერთად გაიცა „გიორგობის დანამატიც“.** სადღესასწაულო დანამატების გაცემის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმალური ხასიათის დასაბუთებასაც არ შეიცავს.

ამდენად, ზოგიერთ შემთხვევაში სპეციალური დანამატი გაიცემა ცალკეულ მოსამართლეებთან მიმართებით (სტანდარტული სპეციალური დანამატი), ზოგიერთ შემთხვევაში კი ამგვარი გადაწყვეტილება ვრცელდება პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების ყველა მოსამართლეზე („სადღესასწაულო“ დანამატი). შესაბამისად, **მოსამართლეთა ნაწილი („სადღესასწაულო“ თვეებში კი პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების ყველა მოსამართლე) განსაზღვრულ პერიოდში იღებს როგორც ზოგად, ისე სპეციალურ დანამატს.**

2022 წელს საბჭოს მიერ სპეციალური დანამატის გაცემის შესახებ 3 გადაწყვეტილება გამოქვეყნდა. სამივე მათგანი სადღესასწაულო დანამატებს შეეხებოდა და არც ერთი არ შეიცავდა შესაბამის დასაბუთებას. 2022 წლის:

36 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის N1/89 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი.

- აპრილის თვის დანამატი[37] შეადგენდა თანამდებობრივი სარგოს 50%-ს;
- ნოემბრის თვის დანამატი[38] შეადგენდა თანამდებობრივი სარგოს 35%-ს
- დეკემბრის თვის დანამატი[39] შეადგენდა თანამდებობრივი სარგოს 100%-ს.

რაც შეეხება 2021 წელს გაცემულ სპეციალურ დანამატებს, სულ გამოქვეყნდა 3 განკარგულება. ორი მათგანი სადღესასწაულო დანამატის გაცემას ეხებოდა, ერთი კი – სტაჟირების კოორდინატორობისთვის გაიცა (სტანდარტული სპეციალური დანამატი). სადღესასწაულო დანამატები არც ამ შემთხვევაში ითვალისწინებდა დასაბუთებას. 2021 წლის:

- აპრილის თვის დანამატი[40] შეადგენდა თანამდებობრივი სარგოს 100%-ს.
- სტაჟირების კოორდინატორობისთვის გაცემული დანამატი[41] შეადგენდა 1 250 ლარს;
- დეკემბრის თვის დანამატი[42] შეადგენდა თანამდებობრივი სარგოს 100%-ს.

საბჭოს იმ წევრების დანამატის სახეების უკეთ საილუსტრაციოდ, რომლებიც იმავდროულად პირველი/მეორე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეები არიან, წარმოგიდგენთ ცხრილს:

საბჭოს მოსამართლე წევრების (პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეები) დანამატი			
ზოგადი (ყოველთვიური) დანამატი		მოსამართლის სპეციალური (საგამონაკლისო) დანამატი	
საბჭოს წევრობის დანამატი (1 200 ლ – გაიცემა საბჭოს ყველა წევრზე)	**მოსამართლის ზოგადი დანამატი** (ოდენობა განისაზღვრება ინსტანციისა და პოზიციის მიხედვით)	**სტანდარტული სპეციალური** (გაიცემა დატვირთულობის ან სტაჟირების კოორდინატორობისთვის)	**„სადღესასწაულო" სპეციალური** (ძირითადად გაიცემა აპრილში, ნოემბერსა და დეკემბერში)

საჯარო ინფორმაციის თანახმად,[43] საბჭოს მოსამართლე წევრები იღებენ მოსამართლის როგორც ზოგად, ისე სპეციალურ დანამატს (საბჭოს წევრობის 1200 ლარიან დანამატთან ერთად). შესაბამისად, **მოსამართლე წევრებზე, რომლებიც იმა-**

37 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 18 აპრილის N1/36 განკარგულება.

38 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 25 ნოემბრის N1/129 განკარგულება.

39 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 20 დეკემბრის N1/138 განკარგულება.

40 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 16 აპრილის N1/36 განკარგულება.

41 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N 1/134 განკარგულება.

42 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 დეკემბრის N1/189 განკარგულება.

43 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N990-3491-03-ო წერილი სოციალური სამართლიანობის ცენტრს (21.11.22).

ვდროულად, პირველი/მეორე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეები არიან, საბჭო თანამდებობრივ სარგოზე სამმაგ[44] დანამატს გასცემს: 1. საბჭოს წევრობის დანამატი; 2. მოსამართლის ზოგადი დანამატი; 3. „სადღესასწაულო“ სპეციალური დანამატი.

რაც შეეხება საბჭოს იმ წევრებს, რომლებიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები არიან, პლენუმის დადგენილებით განსაზღვრულია საკასაციო სასამართლოს მოსამართლეების (მათ შორის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების) ყოველთვიური დანამატის (შემდგომში: „პლენუმის დანამატი“) ოდენობა. გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის თანახმად,[45] 2022 წელს დანამატები 2021 წელთან შედარებით 1 250 ლარით იყო გაზრდილი. ცხრილის სახით წარმოგიდგენთ უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლების დანამატების ოდენობას 2021-2022 წლებში.

ზოგადი (ყოველთვიური) დანამატები	2021[46]	2022[47]
უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე	4 000	5 250
უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	3 800	5 050
უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები	3 700	4 950
უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები	3 550	4 800

იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს პლენუმის წერილების ერთობლივი ანალიზით დგინდება, რომ **საბჭოს იმ წევრებს, რომლებიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები არიან, დანამატები ეძლევათ როგორც პლენუმის** (პლენუმის დანამატი), **ისე საბჭოს** (საბჭოს წევრობის დანამატი – 1 200ლ) **მიერ.**

რაც შეეხება სპეციალურ დანამატებს, უზენაესი სასამართლოს წერილით გვეცნობა, რომ რაიმე საგამონაკლისო, ერთჯერადი სახის დანამატი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზე არ გაცემულა.[48]

44 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებზე, როგორც წესი, არ გაიცემა სტანდარტული სპეციალური დანამატი, რადგან მას განსაზღვრული წინაპირობები აქვს.

45 საქართველოს უზენაესი სასამართლოს N ოს 373-22 წერილი სოციალური სამართლიანობის ცენტრს (18.11.2022).

46 საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 18 დეკემბრის N 39პლ-2020 დადგენილება.

47 საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 2021 წლის 27 დეკემბრის N 33პლ-2021 დადგენილება.

48 საქართველოს უზენაესი სასამართლოს N ოს 6-23 წერილი სოციალური სამართლიანობის ცენტრს (18.01.2023).

4.1.1. საბჭოს მოსამართლე წევრების შრომის ანაზღაურების ოდენობა 2021-2022 წლებში

ცხრილების სახით წარმოგიდგენთ 2022 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების შრომის ანაზღაურების ოდენობას ჩაშლილად, თანამდებობრივი სარგოსა და დანამატების მითითებით. **ამასთან, გაცემული დანამატების არაპროპორციულობის საილუსტრაციოდ თითოეულ წევრთან მიმართებით მითითებულია მათი დატვირთულობის სავარაუდო პროცენტული მაჩვენებელი.**

ქვედა ორ ცხრილში ნაჩვენებია 2021-2022 წლებში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის – ნინო ქადაგიძისა და მოსამართლეების – ლევან მიქაბერიძისა და ქეთევან ცინცაძის შრომის ანაზღაურების ოდენობები ჩაშლილად, თანამდებობრივი სარგოსა და დანამატების მითითებით.

2021	შრომის ანაზღაურება ჯამურად (თვეში)	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა (თვეში)	პლენუმის მიერ გაცემული დანამატი (თვეში)	საბჭოს მიერ გაცემული დანამატი (თვეში)
ნინო ქადაგიძე	12 200	7 000	4 000	1 200
ლევან მიქაბერიძე	10 750	6 000	3 550	1 200
ქეთევან ცინცაძე	10 750	6 000	3 550	1 200

2022	შრომის ანაზღაურება ჯამურად (თვეში)	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა (თვეში)	პლენუმის მიერ გაცემული დანამატი (თვეში)	საბჭოს მიერ გაცემული დანამატი (თვეში)
ნინო ქადაგიძე	13 450	7 000	5 250	1 200
ლევან მიქაბერიძე	12 000	6 000	4 800	1 200
ქეთევან ცინცაძე	12 000	6 000	4 800	1 200

რაც შეეხება დატვირთულობის მაჩვენებელს, საბჭოს განკარგულების შესაბამისად, დაკავებული თანამდებობრივი პოზიციის გათვალისწინებით:

- ნინო ქადაგიძის დატვირთულობის პროცენტული მაჩვენებელი შესაძლოა შემცირდეს 10%-მდე, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი – 5 %-მდე. საგულისხმოა, საბჭო საჯარო ინფორმაციის სახით არ გასცემს ნინო ქადაგიძის დატვირთულობის ზუსტ პროცენტულ მაჩვენებელს;[49]

- ლევან მიქაბერიძისა და ქეთევან ცინცაძის დატვირთულობის პროცენტული მაჩვენებელი კი შესაძლოა შემცირდეს 20 %-მდე.

49 *სოციალური სამართლიანობის ცენტრი,* საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა სასამართლოში (2020-2021 წლების შეფასების ანგარიში), 2022, გვ. 22.

სააპელაციო სასამართლოს წარმომადგენლები

ლევან მურუსიძე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეა და ის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად 2022 წლის 23 ოქტომბერს აირჩიეს. საბჭოს განკარგულების შესაბამისად, მისი დატვირთულობის მაჩვენებელი შესაძლოა შემცირდეს 20%-მდე.

ცხრილში ნაჩვენებია 2 თვის განმავლობაში (2022 წლის ნოემბერი და დეკემბერი) ლევან მურუსიძის შრომის ანაზღაურების ოდენობა ჩაშლილად, თანამდებობრივი სარგოსა და დანამატების მითითებით.

	თანამდებობრივი სარგო	საბჭოს წევრობის დანამატი	მოსამართლის ზოგადი დანამატი	მოსამართლის სადღესასწაულო დანამატი
11.2022	5 000	1 200	2 950 [50]	1 750
	შრომის ანაზღაურება ჯამში: 10 900			
12.2022	5 000	1 200	2 950	5 000
	შრომის ანაზღაურება: 14 150			

დიმიტრი გვრიტიშვილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარეა და ის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად 2022 წლის 23 ოქტომბერს აირჩიეს. საბჭოს განკარგულების შესაბამისად, მისი დატვირთულობის მაჩვენებელი შესაძლოა შემცირდეს 10%-მდე, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი – 5 %-მდე.

ცხრილში ნაჩვენებია 2 თვის განმავლობაში (2022 წლის ნოემბერი და დეკემბერი) დიმიტრი გვრიტიშვილის შრომის ანაზღაურების ოდენობა ჩაშლილად, თანამდებობრივი სარგოსა და დანამატების მითითებით.

	თანამდებობრივი სარგო	საბჭოს წევრობის დანამატი	მოსამართლის ზოგადი დანამატი	მოსამართლის სადღესასწაულო დანამატი
11.2022	5 300	1 200	3050[51]	1 855
	შრომის ანაზღაურება ჯამში: 11 405			
12.2022	5 300	1 200	3050	5 300
	შრომის ანაზღაურება: 14 850			

50 2023 წლიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ზოგადი დანამატი 3745 ლარი გახდა.

51 2023 წლიდან სააპელაციო სასამართლოს კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის სარგო 3885 ლარი გახდება.

პაატა სილაგაძე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარეა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრად ის 2021 წლის 31 ოქტომბერს აირჩიეს. მისი დატვირთულობის მაჩვენებელი შესაძლოა შემცირდეს 10%-მდე განსაკუთრებულ შემთხვევებში კი – 5 %-მდე.

ცხრილში ნაჩვენებია 2022 წელს პაატა სილაგაძის შრომის ანაზღაურების სტანდარტული და „სადღესასწაულო“ თვეებში მიღებული ოდენობა ჩაშლილად, თანამდებობრივი სარგოსა და დანამატების მითითებით.

	თანამდებობრივი სარგო	საბჭოს წევრობის დანამატი	მოსამართლის ზოგადი დანამატი	მოსამართლის სადღესასწაულო დანამატი
სტანდარტულად	5 300	1 200	3 050 [52]	-
	შრომის ანაზღაურება ჯამში: 9 550			
04.2022	5 300	1 200	3 050	2 650
	შრომის ანაზღაურება ჯამში: 12 200			
11.2022	5 300	1 200	3 050	1 855
	შრომის ანაზღაურება ჯამში: 11 405			
12.2022	5 300	1 200	3 050	5 300
	შრომის ანაზღაურება ჯამში: 14 850			

პირველი ინსტანციის სასამართლოს წარმომადგენლები

თემურ გოგოხია თბილისის საქალაქო სასამართლოში კოლეგიის თავმჯდომარეა და ის საბჭოს წევრად 2021 წლის 26 მაისს აირჩიეს. საბჭოს განკარგულების შესაბამისად, მისი დატვირთულობის მაჩვენებელი შესაძლოა შემცირდეს 10%-მდე, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი – 5 %-მდე.

52 2023 წლიდან სააპელაციო სასამართლოს კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის სარგო 3885 ლარი გახდება.

ცხრილში ნაჩვენებია 2022 წელს თემურ გოგოხიას შრომის ანაზღაურების სტანდარტული და „სადღესასწაულო“ თვეებში მიღებული ოდენობა ჩაშლილად, თანამდებობრივი სარგოსა და დანამატების მითითებით.

	თანამდებობრივი სარგო	საბჭოს წევრობის დანამატი	მოსამართლის ზოგადი დანამატი	მოსამართლის სადღესასწაულო დანამატი
სტანდარტულად	4 300	1200	3 400 [53]	-
	შრომის ანაზღაურება ჯამში: 8 900			
04.2022	4 300	1200	3 400	2 150
	შრომის ანაზღაურება ჯამში: 11 050			
11.2022	4 300	1 200	3 400	1 505
	შრომის ანაზღაურება ჯამში: 10 405			
12.2022	4 300	1 200	3 400	4300
	შრომის ანაზღაურება ჯამში: 13 200			

ბადრი შონია 2022 წლის ივლისიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეა. საბჭოს წევრის უფლებამოსილებას ის 2021 წლის 26 მაისიდან ახორციელებს. საბჭოს განკარგულების შესაბამისად, მისი დატვირთულობის მაჩვენებელი შესაძლოა შემცირდეს 10%-მდე, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი – 5 %-მდე.

53 2023 წლიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის ზოგადი დანამატი 4170 ლარი გახდა.

ცხრილში ნაჩვენებია 2022 წელს ბადრი შონიას შრომის ანაზღაურების სტანდარტული და „სადღესასწაულო“ თვეებში მიღებული ოდენობა ჩაშლილად, თანამდებობრივი სარგოსა და დანამატების მითითებით.

	თანამდებობრივი სარგო	საბჭოს წევრობის დანამატი	მოსამართლის ზოგადი დანამატი	მოსამართლის სადღესასწაულო დანამატი
სტანდარტულად[54]	4 300	1 200	3 400[55]	-
	შრომის ანაზღაურება ჯამში: 8 900			
04.2022[56]	4 000	1 200	3 300	2 000
	შრომის ანაზღაურება ჯამში: 10 500			
11.2022	4 300	1 200	3 400	1 505
	შრომის ანაზღაურება ჯამში: 10 405			
12.2022	4 300	1 200	3 400	4 300
	შრომის ანაზღაურება ჯამში: 13 200			

ნიკოლოზ მარსაგიშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანია. საბჭოს განკარგულების შესაბამისად, მისი დატვირთულობის მაჩვენებელი შესაძლოა არ აჭარბებდეს 5-10%-ს.

ცხრილში ნაჩვენებია 2022 წელს ნიკოლოზ მარსაგიშვილის შრომის ანაზღაურების სტანდარტული და „სადღესასწაულო“ თვეებში მიღებული ოდენობა ჩაშლილად, თანამდებობრივი სარგოსა და დანამატების მითითებით.

	თანამდებობრივი სარგო	საბჭოს წევრობის დანამატი	მოსამართლის ზოგადი დანამატი	მოსამართლის სადღესასწაულო დანამატი
სტანდარტულად	4 000	1 200	3 300[57]	-
	შრომის ანაზღაურება ჯამში: 8 500			
04.2022	4 000	1 200	3 300	2 000
	შრომის ანაზღაურება ჯამში: 10 500			
11.2022	4 000	1 200	3 300	1 400
	შრომის ანაზღაურება ჯამში: 9 900			
12.2022	4 000	1 200	3 300	4 000
	შრომის ანაზღაურება ჯამში: 12 500			

54 სტანდარტულ ოდენობაში მოვიაზრებთ 2022 წლის ივლისის შემდეგ მიღებულ ყოველთვიურ ანაზღაურებას, ვინაიდან ბადრი შონია სწორედ ივლისიდან იკავებს ადმინისტრაციულ თანამდებობას. ივლისამდე მისი ანაზღაურების სტანდარტული ოდენობა იქნებოდა 8500 ლარი.

55 2023 წლიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის ზოგადი დანამატი 4170 ლარი გახდა.

56 სტანდარტულ ოდენობაში მოვიაზრებთ 2022 წლის ივლისის შემდეგ მიღებულ ყოველთვიურ ანაზღაურებას, ვინაიდან ბადრი შონია სწორედ ივლისიდან იკავებს ადმინისტრაციულ თანამდებობას. ივლისამდე მისი ანაზღაურების სტანდარტული ოდენობა იქნებოდა 8500 ლარი.

57 2023 წლიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ზოგადი დანამატი 4030 ლარი გახდა.

4.2. არამოსამართლე წევრების შრომის ანაზღაურება

კიდევ უფრო პრობლემურია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრაქტიკა არამოსამართლე წევრებისთვის დანამატის გაცემასთან დაკავშირებით. მოსამართლე წევრებისგან განსხვავებით, ორგანული კანონი არამოსამართლე წევრების მხოლოდ თანამდებობრივი სარგოს ოდენობას განსაზღვრავს და არაფერს ამბობს მათ მიერ დანამატის მიღების შესაძლებლობაზე.

ორგანული კანონის თანახმად,[58] არამოსამართლე წევრს თავისი მოვალეობის შესრულებისათვის ეძლევა ანაზღაურება სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. სააპელაციო სასამართლოს თანამდებობრივი სარგო კი 5 000 ლარს შეადგენს. [59]

საბჭოსგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე 2 პრობლემური გარემოება გამოიკვეთა:

1. თანამდებობრივი სარგო შრომის ანაზღაურების ნაწილია და არ მოიცავს დანამატს. **შესაბამისად, საბჭოს არამოსამართლე წევრი უნდა იღებდეს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობის (5 000 ლ.) შესაბამის ანაზღაურებას და არა მასთან ერთად სააპელაციო სასამართლოს მოსამართლისთვის საბჭოს მიერ განსაზღვრულ ყოველთვიურ დანამატს (2 950 ლ.).** ამის მიუხედავად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021-2022 წლების პრაქტიკა მოწმობს, რომ არამოსამართლე წევრის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო არის 7950 ლარი. (სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის საერთო ოდენობა), რაც აშკარა შეუსაბამობაშია ორგანული კანონის მოთხოვნებთან;

2. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის დანამატის პარალელურად, არამოსამართლე წევრს[60] 2021-2022 წლებში მიღებული აქვს სხვა დანამატებიც, რომელთა შესახებაც საბჭოს მიერ არ გამოქვეყნებულა ინდივიდუალური განკარგულება და შესაბამისად, უცნობია, რა გახდა დანამატების გაცემის სამართლებრივი საფუძველი.

58 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-14 პუნქტი.

59 იქვე, 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

60 2021 წლის 22 ივნისიდან დღემდე იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მხოლოდ ერთი არამოსამართლე წევრი - პრეზიდენტის მიერ დანიშნული თამარ ღვამიჩავაა.

როგორც შესავალში აღინიშნა, მოთხოვნის დაკონკრეტების მიუხედავად, საბჭომ საჯარო ინფორმაცია არასრულყოფილად მოგვაწოდა. კერძოდ: ანაზღაურების ოდენობის ამსახველი თვიური მონაცემების ნაცვლად, გადმოგვეცა წლის განმავლობაში მიღებული შრომის ანაზღაურების ჯამური ოდენობა. იმის გათვალისწინებით, რომ დანამატების გაცემის სიხშირე, შესაძლოა, არაერთგვაროვანი იყოს, არამოსამართლე წევრის მიერ მიღებული ანაზღაურების თვიურ ოდენობას ვერ ვადგენთ.

ცხრილის სახით წარმოგიდგენთ 2021-2022 წლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს **არამოსამართლე წევრის – თამარ ღვამიჩავას** შრომის ანაზღაურების წლიურ ოდენობას ჩაშლილად : თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის მითითებით.

2021	**შრომის ანაზღაურება (წლიური) – 90 400**	
	თანამდებობრივი სარგო (წლიურად) – 80 400	დანამატი (წლიურად) – 10 000
2022	**შრომის ანაზღაურება (წლიური) – 104 650**	
	თანამდებობრივი სარგო (წლიურად) - 95 400	დანამატი (წლიურად) – 9 250

როგორც ცხრილებიდან ჩანს, 2022 წელს წინა წელთან შედარებით არამოსამართლე წევრის თანამდებობრივი სარგო გაზრდილია 15 000 ლარით (წლიურად), მაშინ როდესაც ორგანული კანონის შესაბამის მუხლში[61] საკანონმდებლო ცვლილება არ განხორციელებულა (კანონით დადგენილი სარგოს ოდენობა არ გაზრდილა). ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ არამოსამართლე წევრი ავტომატურად – შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე იღებს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის დანამატს.

61 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

4.3. დამოუკიდებელი ინსპექტორის შრომის ანაზღაურება

ორგანული კანონი ადგენს, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) შესაბამისად.[62] საბჭოსგან მიღებული ინფორმაციის თანახმად,[63] 2022 წელს ინსპექტორის მიერ მიღებული თანამდებობრივი სარგოსა და დანამატების ოდენობა არამოსამართლე წევრის მიმართ გაცემული ანაზღაურების ოდენობის (7 950 ლ.) იდენტურია, თუმცა, საბჭოს არამოსამართლე წევრებისგან განსხვავებით, დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის კანონმდებლობა უშვებს სააპელაციო სასამართლოს თანამდებობრივ სარგოსთან ერთად დანამატის მიღების შესაძლებლობას.

აღნიშნულის მიუხედავად, დანამატების გაცემის ნაწილში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრაქტიკა არც დამოუკიდებელი ინსპექტორის მიმართ არის გამჭვირვალე. ამას ადასტურებს 2021-2022 წლებში ინსპექტორისთვის გაცემული დანამატები, რომლებთან დაკავშირებითაც საბჭოს გადაწყვეტილებები არ გამოქვეყნებულა და შესაბამისად, ბუნდოვანია მათი გაცემის ნორმატიული და ფაქტობრივი საფუძველი.[64] დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცესში მონაწილე მნიშვნელოვანი სუბიექტისთვის, განსაკუთრებულად რისკის შემცველია დანამატის დაუსაბუთებლად და გაუმჭვირვალედ გაცემა. შრომის ანაზღაურების დაანგარიშების ბუნდოვანი სისტემა საფრთხეს უქმნის მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, აგრეთვე ხელს უწყობს საერთო სასამართლოების სისტემაში შიდა გავლენების გაძლიერებას.

დამატებით, ნორმატიული აქტი, რომელიც ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებას ადგენს თანამდებობის პირებისთვის, პასუხისმგებელ სუბიექტთა ჩამონათვალში არ ითვალისწინებს დამოუკიდებელ ინსპექტორს.[65] ამ საკანონმდებლო ხარვეზის ფონზე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ საბჭოს პრაქტიკა ინსპექტორის შრომის ანაზღაურების გაცემისას იყოს გამჭვირვალე.

62 იქვე, 51[1]-ე მუხლის მე-8[1] პუნქტი.

63 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 30 იანვრის N 59/51-03-ო წერილი სოციალური სამართლიანობის ცენტრს.

64 როგორც უკვე აღინიშნა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის დანამატის გაცემის საფუძვლად მიუთითა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონი. კანონი თავად ადგენს მოქმედების სფეროს, რომელშიც არ ექცევა დამოუკიდებელი ინსპექტორი.

65 საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის N178 დადგენილება.

არამოსამართლე წევრების მსგავსად, საბჭომ არც ინსპექტორთან მიმართებით მოგვაწოდა ანაზღაურების თვიური ოდენობები. შესაბამისად, ცხრილების სახით წარმოგიდგენთ დამოუკიდებელი ინსპექტორის – **ზურაბ აზნაურაშვილის** მიერ 2021-2022 წლებში მიღებული შრომის ანაზღაურების **წლიურ ოდენობებს** ჩაშლილად, თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის მითითებით:

2021	**შრომის ანაზღაურების ოდენობა (წლიურად) – 90 760**	
	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა (წლიურად) – 80 400	დანამატი (წლიურად) – 10 360
2022	**შრომის ანაზღაურების ოდენობა (წლიურად) –104 650**	
	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა (წლიურად) – 95 400	დანამატი (წლიურად) – 9 250

5. რეკომენდაციები

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისა და დამოუკიდებელი ინსპექტორის შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ბუნდოვანი კანონმდებლობა და არაერთგვაროვანი პრაქტიკა აძლიერებს სასამართლო სისტემაში არაფორმალური გავლენების რისკებს. დანამატების გაცემის მარეგულირებელი კანონმდებლობა საფრთხეს უქმნის როგორც ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობას, ისე ინსპექტორის სამსახურის ეფექტიან და მიუკერძოებელ საქმიანობას. დანამატების არსებული პრაქტიკა აგრეთვე აჩენს საბჭოს შიგნით კორპორატიული მოტივებით გადაწყვეტილებების მიღების საფრთხეს. არსებული საკანონმდებლო მექანიზმები და პრაქტიკა ვერ აკმაყოფილებს სასამართლოს საქმიანობის გამჭვირვალობის სტანდარტებს და შესაბამისად, უარყოფითად აისახება სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხზე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრი მიზანშეწონილად მიიჩნევს შემდეგ ნაბიჯებს:

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით განისაზღვროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრებისა და დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის დანამატის გაცემის საფუძვლები;
- დანამატების გაცემა განხორციელდეს მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში და არა ბლანკეტურად, საბჭოს ყველა წევრის მიმართ;
- საბჭოს და უზენაესი სასამართლოს მიერ დანამატების ოდენობა განისაზღვროს ყველა შემთხვევაში ინდივიდუალურად – შესრულებული სამუშაოს პროპორციულად და ადეკვატურად;
- კანონმდებლობით განისაზღვროს დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების ვალდებულება;
- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მოწესრიგდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისთვის ორმაგი დანამატის (საბჭოს წევრისა და მოსამართლის დანამატი) მიღების წინაპირობები და ფარგლები;
- სასამართლო სისტემის შესაბამისმა ორგანოებმა უზრუნველყონ შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა კანონმდებლობის შესაბამისად.